



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

(ქ. ოზურგეთი კოსტავას ქ. №1 ტელ. 7-45-25)

31 იანვარი 2012 წელი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №31

**ღია გაგუასთან შრომითი ხელშეკრულების
გაფორმების შესახებ**

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 33-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის, მე-8 მუხლის და „საქართველოს შრომის კოდექსი“-ს მე-6 მუხლის შესაბამისად:

ე ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე, აყვანილ იქნეს ღია გაგუა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში შტატგარეშე მოსამსახურის თანამდებობაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების საქმიანობის კოორდინაციის მიზნით.
2. ბრძანებას თან ერთვის ღია გაგუასთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება.
3. ბრძანება გამოქვეყნებისთანავე გადაეგზავნოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში (მის: ი.სიორიძის ქ. №14)
5. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე:

ალეკო მამეშვილი

შრომითი ხელშეკრულება

ქ. ოზურგეთი

31 იანვარი 2012 წელი

ერთის მხრივ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო, რომელიც წარმოდგენილია თავმჯდომარის ბატონ ალექო მამეშვილის სახით (შემდგომში „დამსაქმებელი“) და მეორეს მხრივ ღია გაგუა მცხოვრები ქ. ოზურგეთის ბათუმის ქ. №131-ში შემდგომში „დასაქმებული“ ვდებთ შრომით ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

„დამსაქმებელი“ (მუნიციპალიტეტის საკრებულო) დებს შრომით ხელშეკრულებას ღია გაგუასთან რათა იგი აყვანილ იქნას ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში შტატგარეშე მოსამსახურის თანამდებობაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების საქმიანობის კოორდინაციის მიზნით.

მუხლი 2. მხარეთა ვალდებულება და პასუხისმგებლობა

2.1. „დამსაქმებელი“ ვალდებულია დაასაქმოს „დასაქმებული“ იმ სამუშაოთი, რაც გათვალისწინებულია ხელშეკრულებით.

2.2. შეუქმნას „დასაქმებულს“ სათანადო პირობები და უზრუნველყოს მისი ტექნიკური უსაფრთხოება.

2.3. „დამსაქმებელს“ უფლება აქვს მოსთხოვოს „დასაქმებულს“ შინაგანაწესისა და შრომის დისციპლინის დაცვა.

2.4. „დასაქმებული“ ვალდებულია ხელშეკრულების გასაფორმებლად წარმოადგინოს საქართველოს შრომის კანონმდებლობით გათვალისწინებულ საჭირო დოკუმენტაცია.

2.5. „დასაქმებული“ ვალდებულია დროულად გამოცხადდეს სამუშაოზე, შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობა და დაიცვას შინაგანაწესი.

2.6. „დასაქმებული“ ვალდებულია შეასრულოს ადმინისტრაციის მოთხოვნები და ბრძანებები.

2.7. „დასაქმებული“ უფლება აქვს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დროში და პირობებში მოითხოვოს ხელფასის ანაზღაურება.

2.8. ისარგებლოს შესვენებით სამუშაო დღის განმავლობაში. დასვენებითა და უქმე დღეებით, ამასთანავე ისარგებლოს კუთვნილი შვებულებით კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 3. ანაზღაურების ოდენობა და ვადები

„დასაქმებულს“ ყოველთვიურად მიეცემა 420 ლარი ხელფასის სახით.

მუხლი 4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

4.1. ხელშეკრულება ძალაში შედის 2012 წლის 1 თებერვლიდან და მოქმედებს 2012 წლის 31 ივლისამდე.

4.2. ერთ-ერთი მხარის ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში დასაშვებია შრომის ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა შრომის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4.3. ხელშეკრულების პირობები შეიძლება შეიცვალოს მხარეთა შეთანხმებით.

4.4. ხელშეკრულება ფორმდება ორ ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

მუხლი 5. დამატებითი პირობები

„დასაქმებულ“ პირს არა აქვს უფლება საჯარო გახადოს მის საქმიანობასთან დაკავშირებული ისეთი კონფიდენციალური ინფორმაცია, რაც ზეგავლენას მოახდენს მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმიანობაზე და იმიჯზე.

მუხლი 6. მხარეთა რეკვიზიტები

„დამსაქმებელი“

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
ქ.ოზურგეთი კოსტავას ქ №1

„დასაქმებული“

ქ. ოზურგეთი, ბათუმის ქ. №131
ლია გაგუა

მუხლი 7. ხელმოწერები

მხარეები ხელშეკრულებას ადასტურებენ ხელმოწერით და შედგენილია ორ ეგზემპლარად თითო ცალი მხარეთათვის.

„დამსაქმებელი“

(ხელწერა)

ალეკო მამეშვილი

„დასაქმებული“

(ხელწერა)

ლია გაგუა